მაგისტრის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასახელება	სამაგისტრო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა" **(Public Health and Health Policy)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი **(Master/MA in Public Health)**
ფაკულტეტის დასახელება	მედიცინის ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფ. გულნარა შელია
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა	4 სემესტრი (120 კრედიტი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია 2015 წელს ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 15.09.2017, დადგენილება N1ა (17/18)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

- მაგისტრატურაში (ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან უმაღლესი ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლების მქონე პირთა) ჩარიცხვა ხორციელდება ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ, ერთიან სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო, კომპლექსურ გამოცდებზე მიღებული დადებითი შედეგების საფუძველზე, რომელიც ტარდება ტესტირებით
- მაგისტრატურაში სწავლების უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეს) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარე-

ბის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომლის პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას მოსახლეობის სპეციფიურ ჯგუფებსა და/ან მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით .

პროგრამა ფოკუსირებულია ჯანმრთელობაზე, როგორც სოციალურ და ეკონომიკურ კატეგორიაზე; ჯანმრთელობის განმსაზღვრელ დეტერმინანტებზე, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის და ადმინისტრირების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	
ცოდნა და გაცნობიერება	I კონცენტრაცია : საზოგადოებრივი ჯანდაცვა • კურსდამთავრებულს აქვს საფუძვლიანი ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსის, თეორიული მიდგომების, მეთოდების შესახებ; • ღრმა და სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების შესახებ; • ცოდნა დაავადებათა სტატისტიკის და ეპიდემიოლოგიის შესახებ; დაავადებათა პრევენციისა და მართვის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ქცევის ცვლილებების შესახებ. • სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების პაციენტზე, მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაზე ორიენტაციისა და პაციენტის უფლებების დაცვის თაობაზე II კონცენტრაცია : ჯანდაცვის პოლიტიკა • აქვს ცოდნა ჯანმრთელობის დაცვის სისტემების, გლობალური და საერთაშორისო ჯანმრთელობის და მისი დეტერმინანტების შესახებ; შეუძლია გააცნობიეროს ამ სფეროში მიმდინა-

	რე ცვლილებები; • ცოდნა ჯანმრთელობის პოლიტიკის შეფასების და კვლევის მეთოდების შესახებ; • სისტემური ცოდნა ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი გარემოს, ლიდერობის და ორგანიზაციული კულტურის, მენეჯერული ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაზღვევის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის და ჯანდაცვითი პროდუქტების მარკეტინგის ტექნოლოგიების შესახებ. • ცოდნა ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობისა და ეთიკური ასპექტების, პაციენტის უფლებებისა და ჯანდაცვის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საკითხების შესახებ;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს აქვს : **I კონცენტრაცია – საზოგადოებრივი ჯანდაცვა :** • მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების უნარი. პრობლემური საკითხების იდენტიფიცირების და მათ გადაჭრაზე მიმართული პროექტების მართვის უნარი; • მიზნობრივი ჯგუფების პრობლემატიკის მიხედვით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითად და ალტერნატიულ ღონისძიებათა დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უნარი; • გარემოს დაბინძურების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების, ასევე დაავადებათა გავრცელების თვალსაზრისით არსებული რისკების ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირების და რელევანტური ჩარევების რეკომენდაციების გაცემის (მიცემის), ასევე მოსახლეობის მობილიზების უნარი არსებული პრობლემების დროულად და ადექვატურად აღმოფხვრისათვის;

	• მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატიზაციის, ურთიერთშეთანადების, რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი; II კონცენტრაცია – „ჯანდაცვის პოლიტიკა” • აქვს ჯანმრთელობის პოლიტიკის ფორმირების პროცესებში ჩართვის უნარი • რთული და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი,ორიგინალური გზების მოძიების,მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით. • ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შეფასების/ანალიზის უნარი და უახლეს მიღწევათა ქვეყნის პოლიტიკაში ინტეგრირების უნარი;
დასკვნის უნარი	• ლიტერატურული წყაროებისა და საკუთარი კვლევის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების დamუშავების, კრიტიკული ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; • მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატიზაციის, კრიტიკული ანალიზის, რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების გზით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მიღების უნარი; • რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის სინთეზის და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უნარი; • ჯანმრთელობის დაცვის ეთიკურ-სამართლებრივ საკითხებზე

	მტკიცებულებითი დოკუმენტაციის შემუშავების და დასკვნის გაკეთების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	• თავისუფლად ფლობს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებს, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, დამაჯერებლად ახდენს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების დემონსტირებას.
სწავლის უნარი	• კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების/სპეციფიკის გაცნობიერებას. • აქვს საკუთარი თავის პროფესიული შეფასებისა ად განვითარების სტრატეგიების ჩამოყალიბებისა და დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი/საჭირო ცოდნის ათვისების დაგეგმვის უნარი; • განათლების უფრო მაღალ საფეხურზე (დოქტორანტურა) პროფესიული მზადების აუცილებლობის განსაზღვრის და მისი განხორციელების უნარი
ღირებულებები	• კურსდამთავრებულს გათავისებული აქვს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მორალური იმპერატივი და სამედიცინო ან/და მენეჯერული ეთიკის პრინციპების დაცვის აუცiლებლობა; • აცნობიერებს პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში საზოგადოებრივი, აკადემიური, რელიგიური, მორალური თუ ნაციონალური ფაქტორების და ღირებულებების მიმართ სხვათა დამოკიდებულებis, მხარეთა ინტერესების ბალანსის დაცვისა და ახალი ღირებულებების ფორმირებაში წვლილის შეტანის მნიშვნელობას სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის და სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის • შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრე-

	ბაში წვლილის შეტანა.

სწავლების მეთოდები

- ინტერაქტიური ლექციები (ვიზუალური მასალის გამოყენებით);
- პრაქტიკული/სემინარული მეცადინეობები;
- დისკუსია/დებატები;
- სიტუაციური ანალიზი, შემთხვევათა განხილვა (Case study);
- ჯგუფური მუშაობა;
- გონებრივი იერიში (Brain Storming);
- ინდივიდუალური კონსულტაციები.
- მოწვეული სტუმრის პრეზენტაცია (guest speaker)
- გამოცდილებით სწავლება (experiential learning)
- თეზისების მომზადება/პრეზენტაცია;
- ტესტირება, გამოცდა.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლების 4 სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა შეძლოს 120 ECTS კრედიტის ათვისება (ერთი კრედიტი 25 საათი, თითოეულ სემესტრში 30 კრედიტი). პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ წელიწადს. სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, მასში დაწ-ვრილებითაა გაწერილი სასწავლო კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ; სწავ-ლების პირველი, მეორე და მესამე სემესტრი განხორციელდება აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერ-სიტეტში.მე-4 სემესტრი გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის ; ფაკულტე-ტი სტუდენტებს შესთავაზებს ინგლისური ენის არჩევით კურსს ; პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი,რომელშიც მაგისტრანტი ახდენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარის დემონსტრირებას; ნაშრომში სტუდენტი წარმოაჩენს პრობლემის აქტუალობას;აყალიბებს საკვლევ თემატიკას,კვლევის მიზნებს.ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს; სწავლობს საკითხის მეცნიერულ საფუძვლებს; მსჯელობს არგუმენტირებულად და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს ,

საკვლევი თემის შედეგებთან მიმართებაში. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემთხვევაში სტუდენტი მოიპოვებს 30 კრედიტს.

ცალკე უნდა აღინიშნოს პრაქტიკის/"ინტერნშიფის" (Public Health Field Placement, Practical skills – Internship) კომპონენტი (6 კრედიტი), სტუდენტს მოეთხოვება გაიაროს ინტერნატურა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოებში., ასევე ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში, შესაბამისი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. თითოეულ სტუდენტს ამ პერიოდში ეძლევა შესაძლებლობა რეგულარულად ითანამშრომლოს პროფესიონალებთან, დააკვირდეს მათი მუშაობის სტილს, კომუნიკაციის პროცესს და პროფესიულ საქციელს, გამართოს მათთან დისკუსიები; ჩაერთოს კვლევებსა და საგრანტო პროგრამების მომზადების პროცესში; ინტერნატურის გავლით სტუდენტს გამოუმუშავდება: ანალიზისა და სინთეზის უნარი, კომუნიკაციის უნარი, კვლევის უნარი, დაგეგმვის და დროის მენეჯმენტის უნარი; ასევე პრაქტიკული ჩვევები : განსაზღვროს, შეაფასოს და გაიაზროს მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემები,მოახდინოს ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე ფაქტორების იდენტიფიცირება ,გაანალიზოს დაავადებების აღმოფხვრის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებული მიდგომები; დაგეგმოს და განავითაროს სამედიცინო–საგანმანათლებლო ღონისძიებები და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007) და №3 (21.09.2009) ბრძანებებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით (№12; 30.10.2009; დადგენილება №35; 10.11.2010;დადგენილება№112 10.06.2011) განსაზღვრული პრინციპებით.

შემოთავაზებული პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კურსების დაუფლება სწავლების პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ შეფასებას; გ) დასკვნით გამოცდაზე შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

შეფასების სისტემით დასაშვებია:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი ახლიდან აქვს გასავლელი.

სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა ხდება მაგისტრანტის და მისი ხელმძღვანელის მიერ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი თემისა და ხელმძღვანელის არჩევაში საკ-მაოდ მაღალია. სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს (ებს) ამტკიცებს ფაკულტეტის საბ-ჭო. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება მაგისტრანტი, რომელსაც სრული მოცულობით აქვს შესრულებული მაგისტრატურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა და იგი მუშაობის ფორმის (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება,გაფორმება,დაცვა) მიხედვით ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე :

შეფასების კომპონენტები

მუშაობის ფორმა	**ქულა**
აქტივობა (ვიზიტი ხელმძღვანელთან)	30 ქულა
შუალედური შეფასება (ნაშრომის წინასწარი განხილვა)	30 ქულა
ნაშრომის დაცვა/ პრეზენტაცია (პრეზენტაციის ვერბალური მხარე, ტექნიკური და ვიზუალური მხარე)	40 ქულა
დასკვნითი შეფასება	**100 ქულა**

ვიზიტი ხელმძღვანელთან: მაგისტრანტი ვალდებულია ხელმძღვანელს სემესტრში შეხვდეს 15-ჯერ (კვირაში ერთი დღე) და წარუდგინოს წინასწარ მიცემული დავალება, ამასთან თვითონ მოითხოვოს

კონსულტაცია პრობლემურ საკითხებზე. ერთი ვიზიტი ფასდება 2 ქულით(სულ 30 ქულა);

ნაშრომის წინასწარი განხილვა : ხდება ნაშრომის ტექნიკური(ენობრივი გამართულობა, გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება, სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა) და შინაარსობრივი (აქტუალობა, ორიგინალურობა, შინაარსის და დასკვნების სრულყოფილება) მხარეების ,ასევე პრეზენტაბელურობის (სქემების, დიაგრამების, ვიზუალური მასალების არსებობა,მეტყველების კულტურა) შეფასება ; წინასწარ დაცვაზე ხდება რეცენზენტის დანიშვნა.

შეფასება რეცენზენტის მიერ მოიცავს შემდეგი კომპონენტების შეფასებას : საკვლევი თემის აქტუალობა; საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები; კვლევის ობიექტი, ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა; ნაშრომის მეცნიერული სიახლე, კვლევის პრაქტიკული ღირებულება;მოძიებული ლიტერატურის ხარისხის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა/პრეზენტაცია გულისხმობს - წინასწარ განხილული და რეცენზირებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვას/ პრეზენტაციას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიაზე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-40 ქულით ; სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 10.06.2011 წელის N112 დადგენილებით „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების/წარდგენის გზამკვლევის დამტკიცების შესახებ“

შენიშვნა : სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების, პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსებით.

საკვალფიკაციო კომისიის შეფასება წარმოადგენს ამავე კომისიის წევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. საშუალო არითმეტიკულით მიღებული რიცხვის დამრგვალებისას გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

36,4-40 ქულა (91-100%) – საუკეთესო ნაშრომი;

32,4-36 ქულა (81-90%) – ძალიან კარგი ნაშრომი;

28,4-32 ქულა (71-80%) – კარგი ნაშრომი;

24,4-28 ქულა (61-70%) – საშუალო დონის ნაშრომი;

20,4-24 ქულა (51-60%) – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი;

0-20 ქულა (0-50%) – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.

საბოლოო შეფასება: წარმოადგენს სასწავლო პროგრამის სასწავლო (ძირითადი და არჩევითი

კურსები) კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომის ქულათა ჯამს ;

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული დასაქმდება :

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებზე ორიენტირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში.
- სტრუქტურებში, რომლებიც მონაწილეობენ ჯანმრთელობის ეროვნული და რეგიონული პოლი-ტიკის შემუშავებაში (შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,შესაბამისი საპარლამენტო/ან საკრებულოს კომიტეტები), ასევე სადაზღვევო კომპანიებსა და სააგენტოებში, როგორც სპეციალისტები ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებით;
- ნებისმიერი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მკვლევარის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონსულტანტის პოზიციებზე;
- ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საზედამხედველო სამსახურში;
- მაგისტრატურის პერიოდში სამეცნიერო მუშაობის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება მათ აძლევს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის , ასევე ჯანდაცვის პოლიტიკისა და ადმინისტრირების განხრით

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კომპეტენციის ადგილობრივი და მოწვეული პედაგოგები.

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის სასწავლო და სალექციო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კაბინეტები (კლასები), რაც სტუდეტებს აძლევს ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობით ისინი მჭიდრო კავშირში არიან აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.ასევე კლინიკური უნარ–ჩვევების ლაბორატორია.მაგისტრანტი პრაქტიკას/ინტერნატურას გაივლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული ცენტრის, სკრინინგ–ცენტრის , არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზებზე უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმის ფარგლებში.

სასწავლო გეგმა და კომპეტენციების რუქა

1. სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში						სემესტრი			
			სულ	საკონტაქტო				დამოუკ.	I	II	III	IV
				ლექცია	სემინ/პრეზენტ.	გამოცდა	სულ					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	I.ზოგადი სასწავლო კურსები											
I.1	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	6	150	11	33/1	2	47	103	x			
I.2	ჯანდაცვის პოლიტიკა	6	150	11	33/1	2	47	103	x			
I.3	სამედიცინო ეთიკა და ჯანდაცვის სამართალი	6	150	11	33/1	2	47	103	x			
I.4	ჯანდაცვის სისტემები და დაფინანსების პოლიტიკა	6	150	11	33/1	2	47	103	x			
I.5	ჯანდაცვის ადმინისტრირება და მართვა	6	150	15	45/1	2	63	87		x		
I.6	ბიოსტატისტიკა	4	100	10	30/1	2	43	57		x		
I.7	ეპიდემიოლოგია	4	100	10	30/1	2	43	57		x		
I.8	სოციალური ფსიქოლოგია	6	150	15	45/1	2	63	87		x		
I.9	კვლევის თანამედროვე მეთოდები ჯანდაცვაში	6	150	15	45/1	2	63	87			x	
I. 10	საქმიანი კომუნიკაცია ჯანდაცვის სფეროში	6	150	12	36/1	2	51	99			x	
I. 11	აკადემიური წერა ბიოსამედიცინო მეცნიერებებში	6	150	15	45/0	2	62	88			x	
	სულ	**62**	**1550**	**136**	**408/10**	**22**	**576**	**974**				

II	**თავისუფალი კრედიტები*** (ინგლისური ენა და საზ.ჯანდაცვა/ინგლ. ენაზე)	10 6/4	250						x	x		

	III.ძირითადი სპეციალობის არჩევითი კონცენტრაციები											
III. 1	**საზოგადოებრივი ჯანდაცვა**											
III. 1.1	გარემოს ფაქტორები და ჯან-მრთელობა	6	150	14	42/1	2	59	91		x		
III. 1.2	დედათა და ბავშვთა ჯანმრთე-ლობა	6	150	13	39/1	2	55	95		X		
III. 1.3	ხარისხის მართვა ჯანდაცვის სისტემაში ,საინფორმაციო სისტემების როლი ხარისხის გაუმჯობესებაში	6	150	14	42/1	2	59	91			x	
III.1.4	სოციალური და სამედიცინო ექსპერტიზა	6	150	11	36/1	2	51	99			x	
III.1.5	პროფესიული პრაქტიკა	6	150	-	62	2	64	86			x	
III.1.6	სამაგისტრო ნაშრომი	30	750	-	45	2	47	703				x
სულ		**60**	**1500**	**53**	**266/4**	**12**	**335**	**1165**				
III. 2	**ჯანდაცვის პოლიტიკა**											
III. 2.1	მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება და დემოგრაფიული პოლიტიკა	6	150	14	42/1	2	59	91		x		
III. 2.2	ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა	6	150	12	36/1	2	51	99			x	
III. 2.3	ჯანდაცვის მარკეტინგი	6	150	12	36/1	2	51	99		x		
III. 2.4	ადამიანური რესურსების მართვა	6	150	12	36/1	2	51	99			x	
III. 2.6	პროფესიული პრაქტიკა	6	150	-	62	2	64	86			x	
III. 2.7	სამაგისტრო ნაშრომი	30	750	-	45	2	47	703				x
სულ		**60**	**1500**	**50**	**257/4**	**12**	**323**	**1177**				

შენიშვნა : სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს ნებისმიერი 2 საგანი შემოთავაზებული ვარი-ანტებიდან.

2.სწავლის შედეგების რუქა

კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამედიცინო ეთიკა და ჯანდაცვის სამართალი	X	X	X	X	X	X

ჯანდაცვის პოლიტიკა	X	X	X	X	X	
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	X	X	X	X	X	
ჯანდაცვის სისტემები და დაფინანსების პოლიტიკა	X	X	X	X	X	
ჯანდაცვის ადმინისტრირება და მართვა	X	X	X	X	X	
ბიოსტატისტიკა	X	X	X	X		X
უცხო ენა - 1	X	X	X	X	X	X
ეპიდემიოლოგია	X	X	X	X	X	X
სოციალური ფსიქოლოგია	X	X	X	X		
აკადემიური წერა ბიოსამედიცინო მენიერებებში	X	X	X	X		X
კვლევის თანამედროვე მეთოდები ჯანდაცვაში	X	X	X	X	X	X
საქმიანი კომუნიკაცია ჯანდაცვის სფეროში	X	X	x	X		X
პრაქტიკა/ინტერნშიფი		X	X	X	X	X
უცხო ენა –2	X		X			
გარემო და ჯანმრთელობა/გარემოს მედიცინა	X	X	X	X	X	X
დედათა და ბავშვთა ჯანდაცვა	X	X	X	X		X
დემოგრაფიული განვითარება და დემოგრაფიული პოლიტიკა	X	X	X	X	X	
ადამიანური რესურსების მართვა ჯანდაცვაში	X	X	X	X		X
ჯანდაცვის მარკეტინგი	X	X	X	X	X	
საქმიანი კომუნიკაცია ჯანდაცვაში	X	X	X	X		X
ხარისხის კონტროლი ჯანდაცვის მენეჯმენტში	X	X	X	X		
სამედიცინო და სოც. ექსპერტიზა	X	X				

დანართი 3. სასწავლო პროცესში მონაწილე აკადემიური პერსონალი

N	სახელი,	მისამართი	ტელეფონი	ელ.ფოსტა	საგანი	შენიშვნა

	გვარი					
1.	გულნარა შელია	ლორთქიფანიძის 14	0431243520 599507787	dodoshelia@yahoo.com	სამედიცინო ეთიკა ჯანდაცვის პოლიტიკა	მედ.მეც.დოქტორი, პროფესორი
2.	ირინე ფხაკაძე	გამარჯვების მე-3 შეს.N 6	591 228778	irinepkhakadze@yahoo.com	საქმიანი კომუნიკაცია ჯანდაცვაში	PhD ასოც.პროფესორი
3.	თამარ ვალიშვილი	რუსთაველის გამზ. 104-30	598265202	tamriko3@gmail.com	აკადემიური წერა ბიოსამედიცინო მეცნიერებებში	PhD ასოც.პროფესორი
4.	თემურ ნადირაძე	ჯიბლაძის 22	0431243317 599561611	temnad@mail.ru	დედათა და ბავშვთა ჯანდაცვა; პრაქტიკა	PhD ასოც.პროფესორი
5.	კახა ნურალიძე	ნინოშვილი ქ.მე-6 შეს. N10	0431272150 577903309	kaxabery@mail.ru	ჯანდაცვის ადმინისტრირება და მართვა	PhD ასოც.პროფესორი
6.	დალი ქობულაძე	ტყიბულის ქ. N 122	599175828	D.KobuladzePHD@rambler.ru	ეპიდემიოლოგია საზ.ჯანდაცვა	მოწვეული სპეციალისტი
7.	ზურაბ აბზიანიძე	მესხიშვილის 37	577348939	zurabazy@yahoo.com	ბიოსტატისტიკა	მოწვეული სპეციალისტი
8.	ლალი ლალიაშვილი	ვარლამიშვილის N9	593333932	Lalilaliashvili8@mail.ru	სოციალური ფსიქოლოგია	მოწვეული სპეციალისტი
9.	ალექსანდრე ჩავჩიძე	ლორთქიფანიძის 14	598577741	achavchidze@yahoo.com	სამედიცინო სამართალი;	მოწვეული სპეციალისტი
10.	გიორგი ფხაკაძე	ვარლამიშვილის 4/2	577416314	giorgi76@gmail.com;	ჯანდაცვის სისტემები&დაფინანსების პოლიტიკა	M.D.,PhD
11.	გიორგი კუხიანიძე	გრიშაშვილის 37–10	5(77)090024	gera02101957@mail.ru	ჯანდაცვის ეკონომიკა& დაზღვევა	მოწვეული სპეციალისტი
12.	თეა ვალიშვილი	რუსთაველის გამზ. 104-15	577131882	tea.valishvili@atsu.edu.ge	ჯანდაცვის მარკეტინგი	ასოც.პროფესორი
13.	ირმა გრძელიძე	თამარ მეფის 59	43124 38 33	I.grdzelidze@yahoo.com	კვლევის მეთოდები	პროფესორი
14.	მარინა ნუცუბიძე	ნ.დუმბაძის 85	577050514	nutdubidzemarina@yahoo.com	საზ.ჯანდაცვა;	მედიცინის დოქტორი
15.	ტარიელ სვანაძე	თამარ მეფის 34	599577099	tsvanadze@yandex.ru	გარემოს მედიცინა	მედიცინის დოქტორი
16.	ლევან ჩაკვეტაძე	ნ.ბარათაშვილის 55	599555541	Lui005@mail.ru	ხარისხის მართვა ჯანდაცვის სისტემაში	მედიცინის დოქტორი
15.	ლალი არველაძე	ბესიკის 1 შეს.15	555030143	Lali.arveladze@mail.ru	ადამიანური რესურსების მართვა ჯანდაცვის სისტემაში	მედიცინის დოქტორი

დანართი 3. სასწავლო პროცესში მონაწილე აკადემიური პერსონალი

N	სახელი, გვარი	მისამართი	ტელეფონი	ელ.ფოსტა	საგანი	შენიშვნა
1.	გულნარა შელია	ლორთქიფანიძის 14	0431243520 599507787	dodoshelia@yahoo.com	სამედიცინო ეთიკა ჯანდაცვის პოლიტიკა	მედ.მეც.დოქტორი, პროფესორი
2.	ირინე ფხაკაძე	გამარჯვების მე-3 შეს.N 6	591 228778	irinepkhakadze@yahoo.com	საქმიანი კომუნიკაცია ჯანდაცვაში	PhD ასოც.პროფესორი
3.	თამარ ვალიშვილი	რუსთაველის გამზ. 104-30	598265202	tamriko3@gmail.com	აკადემიური წერა ბიოსამედიცინო მეცნიერებებში	PhD ასოც.პროფესორი
4.	თემურ ნადირაძე	ჯიბლაძის 22	0431243317 599561611	temnad@mail.ru	დედათა და ბავშვთა ჯანდაცვა; პრაქტიკა	PhD ასოც.პროფესორი
5.	კახა ნურალიძე	ნინოშვილი ქ.მე-6 შეს. N10	0431272150 577903309	kaxabery@mail.ru	ჯანდაცვის ადმინისტრირება და მართვა	PhD ასოც.პროფესორი
6.	დალი ქობულაძე	ტყიბულის ქ. N 122	599175828	D.KobuladzePHD@rambler.ru	ეპიდემიოლოგია საზ.ჯანდაცვა	მოწვეული სპეციალისტი
7.	ზურაბ აბზიანიძე	მესხიშვილის 37	577348939	zurabazy@yahoo.com	ბიოსტატისტიკა	მოწვეული სპეციალისტი
8.	ლალი ლალიაშვილი	ვარლამიშვილის N9	593333932	Lalilaliashvili8@mail.ru	სოციალური ფსიქოლოგია	მოწვეული სპეციალისტი
9.	ალექსანდრე ჩავჩიძე	ლორთქიფანიძის 14	598577741	achavchidze@yahoo.com	სამედიცინო სამართალი;	მოწვეული სპეციალისტი
10.	გიორგი ფხაკაძე	ვარლამიშვილის 4/2	577416314	giorgi76@gmail.com;	ჯანდაცვის სისტემები&დაფინანსების პოლიტიკა	M.D.,PhD
11.	გიორგი კუხიანიძე	გრიშაშვილის 37–10	5(77)090024	gera02101957@mail.ru	ჯანდაცვის ეკონომიკა& დაზღვევა	მოწვეული სპეციალისტი
12.	თეა ვალიშვილი	რუსთაველის გამზ. 104-15	577131882	tea.valishvili@atsu.edu.ge	ჯანდაცვის მარკეტინგი	ასოც.პროფესორი
13.	ირმა გრძელიძე	თამარ მეფის 59	43124 38 33	I.grdzelidze@yahoo.com	კვლევის მეთოდები	პროფესორი
14.	მარინა ნუცუბიძე	ნ.დუმბაძის 85	577050514	nutdubidzemarina@yahoo.com	საზ.ჯანდაცვა;	მედიცინის დოქტორი
15.	ტარიელ სვანაძე	თამარ მეფის 34	599577099	tsvanadze@yandex.ru	გარემოს მედიცინა	მედიცინის დოქტორი
16.	ლევან ჩაკვეტაძე	ნ.ბარათაშვილის 55	599555541	Lui005@mail.ru	ხარისხის მართვა ჯანდაცვის სისტემაში	მედიცინის დოქტორი
15.	ლალი არველაძე	ბესიკის 1 შეს.15	555030143	Lali.arveladze@mail.ru	ადამიანური რესურსების მართვა ჯანდაცვის სისტემაში	მედიცინის დოქტორი